ხის მხატვრული დამუშავება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში / Basic Vocational Qualification in Wood Artistic Processing

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

ხის მხატვრული დამუშავების პროფესიული პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ისეთი ხის მხატვრული დამუშავების კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელმაც იცის ხის მხატვრული დამუშავებისთვის საჭირო დანადგარების, ხელსაწყოებისა და მასალის შერჩევა, ესკიზისა და ნახაზის შესრულება, კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენებით ხის ავეჯის კონსტრუირება, ესკიზის მიხედვით ხის მხატვრული კვეთა, ხის ავეჯისა და დეკორატიული ნივთების დამზადება უსაფრთხოების წესების დაცვით, ხის დაზიანებული ავეჯის შეკეთება.

სწავლის შედეგები: კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შექმნას კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენებით ხის ნაკეთობათა ესკიზი/ნახაზი;
- დაამუშავოს მერქანი და მერქნული მასალა;
- ააწყოს და მოაპირკეთოს ხის ნაკეთობები;
- განახორციელოს მარტივი და რთული მხატვრული კვეთა ხეში;
- განახორციელოს კომპიუტერული დანადგარების გამოყენებით ხის მხატვრული დამუშავება;
- დაამზადოს ხის მხატვრული ნიმუში მოზაიკური ტექნოლოგიით;
- შექმნას ხის წნული ნაკეთობები;
- განახორციელოს ხის ნაკეთობების შეკეთება.

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

ხის მხატვრული დამუშავებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს ავეჯის კონსტრუქტორად, ეკლესიების, სკოლების, რესტორნების ავეჯის მწარმოებლად, სპეციალური ავეჯის (დახლების, ვიტრინების, თაროების და მისთ) მწარმოებლად, საოფისე ავეჯის მწარმოებლად, ხის საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნოების მწარმოებლად, ხის სტატუეტების და ორნამენტების, ხის ინკრუსტაციების, ხის ფერადი მოზაიკის მწარმოებლად, ხის ყუთების, საიუველირო ნაკეთობების, სასადილო საკუთნოების და მსგავსი ნაკეთობების მწარმოებლად.

პირს შეუძლია დასაქმდეს: ავეჯის დამამზადებელ საწარმოში, ხის დამამუშავებელ საწარმოში, ხის წნული ნივთების დამამზადებელ სახელოსნოში, შექმნას კერძო წარმოება და აწარმოოს საკუთარი ბიზნესი.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა:** 78 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 14 სასწავლო თვე

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

1. შპს. ავეჯის დამამზადებელი ქარხანა „რანდი“